შოთა ქისტაური

მეტად საყურადღებო ნაშრომი



მძიმეა დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მოშლილია ეკონომიკა, გაპარტახებულია მეცნიერება, განათლება, კულტურა, ხელყოფილია ისტორია, აქედან გამომდინარე, გაურკვეველია მისი მომავალი.

საქართველო თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ ყოფილა მსგავს მდგომარეობაში, არაერთხელ მდგარა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ იგი არასდროს შერიგებია თავსდატეხილ უბედურებას, არასოდეს ქცეულა მოვლენათა მონად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უბრძოლია თავის გადარჩენისთვის და გამარჯვებულიც არაერთხელ გამოსულა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებიდან. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ქართველმა ერმა დღემდე მოიტანა საქართველო, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სამეურნეო ყოფით, უნიკალური ეროვნული კულტურით, ეროვნული ტრადიციებით...

ქართველი ერის გადარჩენის, ქვეყნის აღორძინების, მისი განვითარებისთვის წარმოებულ ბრძოლებში ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეკავა ქართულ ეკლესიას, მისთვის წამებულ ადამიანებს, ქართული ეკლესიის მამამთავრებს. ასე იყო „შუშანიკის წამების“ დროს, ასე იყო „აბო თბილელის წამების“ დროს, გრიგოლ ხანძთელის დროს, დიმიტრი თავდადებულის დროს, სულხან-საბას დროს, დავით გურამიშვილის დროს, ასე იყო ანტონ II-ის დროს, კირიონ II-ის დროს, ასე არის ილია II-ის დროსაც...

და აი, დღეს, როდესაც საქართველო ყოფნა-არყოფნის უმძიმეს მდგომარეობაშია, როცა მისი ეკონომიკა – ქვეყნის არსებობისა და განვითარების საფუძველი – ფაქტობრივად, დან-

გრეულია, როცა საქართველოს მოსახლეობის 1/3-ზე მეტი ბედის საძიებლად გადახვეწილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (და ეს პროცესი დღესაც გრძელდება), როცა შინ დარჩენილების ნაწილი უმუშევარია და შიმშილობს, როცა ერში საშიშ ნიშნულამდეა დასული შობადობა და გაზრდილია სიკვდილიანობა, როცა მიზანმიმართულად მიმდინარეობს ერის ზომბირება მისთვის სრულიად უცხო და მიუღებელი ხერხებით. ერის მდგომარეობით შეწუხებული მისი სულიერი მამა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II აცხადებს: „ეკონომიკის ავკარგიანობაზეა დამოკიდებული საზოგადოების ყოველი ფენის და სახელმწიფოს არსებობა“. უწმინდესი და უზენაესი არ შემოიფარგლება მხოლოდ განცხადებით. მისი ინიციატივით შეიქმნა ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა საქართველოს ეკონომიკის შესწავლა, მისი მწვავე პრობლემების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და ქვეყნის ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზების დასახვა.

ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო მისიას წარმატებით გაართვეს თავი და დღეს ჩვენს წინაშეა საქრთველოს ისტორიაში სისტემური სახით შესწავლილი პირველი კოლექტიური მონოგრაფიული გამოკვლევა, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით წონადი ნაშრომი – საქართველოს ეკონომიკა. მთავარი რედაქტორი როზეტა ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012.

წიგნზე თვალის ერთი გადავლებითაც საკმარისია, რომ მკითხველი დარწმუნდეს იმაში, თუ რა დიდი სამუშაოები და კვლევებია ჩატარებული ნაშრომის შესაქმნელად. მონოგრაფიული გამოკვლევა საკმაოდ დიდი მოცულობისაა (38,0 ნაბეჭდი თაბახი), შედგება 22 თავისგან და აერთიანებს 16 ავტორს. მიუხედავად ავტორთა სიმრავლისა, ნაშრომის კითხვისას რჩება ერთიანი სტილის შთაბეჭდილება, იგრძნობა მთავარი რედაქტორის ხელწერა, რაც წიგნს საკითხავად მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის.

ნაშრომის ძირითადი საკითხები განხილულია ისტორიულ და ლოგიკურ ჭრილში. კარგადაა წარმოდგენილი ის ეკონომიკური გზა, რომელიც გაიარა საქართველომ შორეული წარსულიდან დღემდე. ბუნებრივია, ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ეკონომიკის დღევანდელ მდგომარეობაზე, იმ შეცდომებზე, რაც დაშვებულ იქნა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დღემდე. ცალკეული მსჯელობები განმტკიცებულია სტატისტიკური და სხვა ფაქტობრივი მასალებით.

წიგნი იმდენად კარგად უპასუხებს დროის მოთხოვნებს, იმდენად დამაჯერებლად გადმოსცემს დღევანდელი საქართველოს წინაშე მდგარ ურთულეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ამასთან, ქართული ფასეულობებისა და პოტენციალის პრაზმაში, რომ იგი უთუოდ მიიპყრობს ფართო საზოგადოების ყურადღებას და თითოეული ოჯახისთვის სამაგიდო წიგნი იქნება, მითუმეტეს, რომ ნაშრომი ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე წლისთავს.

ვფიქრობთ, აუცილებელია შევაჩეროთ ყურადღება წიგნის 22-ე თავზე, რომლის სათაურია „გლობალიზაცია, რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველო“. იგი ნაშრომის დასკვნითი თავია და ამითაც იქცევს ყურადღებას.

გლობალიზაცია ურთულესი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენაა. უამრავ პოზიტიურ ასპექტთან ერთად მას თან ახლავს ძლიერი ნეგატიური ეფექტებიც. ამასთან, ეს დუალიზმი იმდენად საგრძნობია, რომ მსოფლიო გლობალისტებად და ანტიგლობალისტებად არის დაყოფილი. გლობალიზაციას განსაკუთრებით სერიოზული საფრთხეები მოაქვს სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის. ამ მხრივ, საქართველოზეც აშკარაა მისი გავლენა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ძალზე ტევადი და ბევრის მთქმელი სიტყვები: „ეკონომიკა თანდათან კარგავს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებსაც ძირითადად საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესები. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესი. ეს ყველაფერი გლობალიზაციის გამოვლინებაა. სხვადასხვა ფორმებითა და საშუალებებით მიმდინარეობს ზემოქმედება საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის ცნობიერებაზე, რათა მათში დაინერგოს არაეროვნული, არაქრისტიანული მსოფლმხედველობა, რაც გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიკის შეცვლასა და ქართველი ერის დაშლა-გადაგვარებას.

წიგნის 22-ე თავის ავტორი პროფ. რ. ასათიანი კარგად აღიქვამს უწმინდესისა და უნეტარესის გაფრთხილებას გლობალიზაციიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ და სავსებით სწორად მიუთითებს, რომ ეკონომიკის მართვისას აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური პოლი-

ტიკით, ქრისტიანული ზნეობის ნორმებით. ზოგიერთს, როგორ უცნაურადაც უნდა მოეჩვენოს, უახლესი ისტორიიდან ცნობილია, რომ როცა ქვეყანას ექსტრემალურ ვითარებაში უხდებოდა ცხოვრება, მასში ძლიერდებოდა რელიგიისადმი, ქრისტიანული ნორმებისადმი სწრაფვა და ქვეყანა იმარჯვებდა. ასე მაგალითად, მეორე მსოფლიო ომში ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ დასავლეთმა გერმანიამ ქვეყნის აღორძინება კ. ადენაუერის ხელმძღვანელობით ქრისტიანული რელიგიის წინ წამოწევით დაიწყო, შეიქმნა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და ეკონომიკის მინისტრის ლუდვიგ ერჰარდის აქტიურობით დასავლეთი გერმანია მოკლე დროში გადაიქცა დემოკრატიის სანიმუშო ქვეყნად. ქრისტიანული რელიგიის საფუძველზე 1956 წელს უნგრეთში განხორციელდა ანტისაბჭოური რევოლუცია, ასევე, სხვადასხვა დროს ჩეხოსლოვაკიაში, პოლინეთში და ა.შ. მაგალითად, პოლონეთში შენობებზე მასობრივად იყო წარწერები: „ეკლესია, უპირველეს ყოვლისა“, ხოლო ისეთი პოპულარობა მოიპოვა ვიოტოლამ თავისი ქადაგებებითა და, საერთოდ, მოღვაწეობით, რომ 1978 წელს აირჩიეს რომის პაპად და ცნობილია იოანე-პავლე II-ის სახელით. იმავე პერიოდში ქვეყნისა და ხალხის სულიერების შენარჩუნებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის კვიპროსის არქიეპისკოპოსი მაკასიოსი მადლიერმა ხალხმა ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია.

საქართველოში ქართველი ხალხი ხსნას ქართულ ეკლესიაში ხედავს და ყურადღებაც სწორედ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის, მისი ქადაგებების მიმართ არის მიპყრობილი.

ასეთ ვითარებაში ძალზე სასიამოვნო და მისასალმებელია, რომ საქართველოს ეკონომიკისადმი მიძღვნილი წიგნის 22-ე თავი ამ პათოსით არის გაჟღენთილი.

იმედია, სარეცენზიო წიგნი – „საქართველოს ეკონომიკა“ საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისთვის, საქართველოს ბედით დაინტერესებული ყველა პიროვნებისთვის.

დაბოლოს, არ შეიძლება მადლიერება არ გამოვხატოთ წიგნის მთავარი რედაქტორის ქალბატონ როზეტა ასათიანისა და ავტორთა კოლექტივის, პროფესორების: როზეტა ასათიანის, ვლადიმერ პაპავას, იაკობ მესხიას, მერაბ კაკულიას, ლეო ჩიქავას, იოსებ არჩვაძის, ომარ ქეშელაშვილის, თეიმურაზ კანდელაკის, გიორგი ქავთარაძის, დემურ ჩომახიძის, რამაზ აბესაძის, ვასილ კიკუტაძის, ვახტანგ სართანიას, სულიკო პავლიაშვილის, მიხეილ თოქმაზიშვილისა და ნანა ადეიშვილის მიმართ, რომლებმაც უდიდესი მუშაობა გასწიეს საპატიო ეროვნული მნიშვნელობის ამოცანის წარმატებით შესასრულებლად. მადლობა მათ და ვისურვებდით მომავალშიც ასეთი მნიშვნელოვანი არაერთი გამოკვლევით გაეხარებინოთ ქართველი მკითხველი.

პროფ. შოთა ქისტაური

პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტთა, მაგისტრთა და ბაკალავრთა საყურადღებოდ

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა.
XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების“ რედაქცია გთავაზობთ
აქციას ჟურნალის ხელმოწერაზე 2013 წლისათვის:

♦ პროფესორ-მასწავლებლებს, დოქტორანტებს, მაგისტრებს და ბაკა-ლავრებს: დაზოგეთ ოჯახის ბიუჯეტი და გამოიწერეთ ჟურნალი ერთი წლით. ერთი სტატიის ფასად გეძლევათ საშუალება გამოაქვეყნოთ ოთხი სტატია.

♦ იმ იურიდიულ პირებს, რომლებიც გამოიწერენ ჟურნალს ერთი წლით, რეკლამის განთავსების შემთხვევაში გამოწერის თანხა ჩაეთვლებათ ყველა გამოქვეყნებული რეკლამის ღირებულებაში.

♦ აქცია გრძელდება 2 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე.

♦ აქციის პერიოდში ჟურნალის ერთი წლით გამოწერის თანხა 60 ლარია, ხოლო მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე ერთი წლით გამოწერის თანხა 120 ლარი იქნება.

<u>ჟურნალის საბანკო რეკვიზიტებია:</u>

მიმღების ბანკი:
ს/ს „საქართველოს ბანკი“.
კოდი: **BAGAGE22**

მიმღების დასახელება:
შპს „სოციალური ეკონომიკა“

მიმღების ანგარიშის ნომერი:
GE06BG0000000267054700

ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. რეგისტრირებულია თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ. რეგისტრაციის №19181.
რედაქტორის ტელ.: 2-36-51-16; 2-36-43-78; 599-33-53-92.
web: socialuri-economica.bpengi.com; www.socialuri-economica.ge
e-mail: social_economica@mail.ru; socialuri-economica@bpengi.com

გადაეცა ასაწყობად 20.10.12.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.10.12.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,5

ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი: ნანა სახეჩიძე
კორექტორები: თინა ცისკარიშვილი, ნანა ბლუაშვილი, ნანა ბოლქვაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი: ზურაბ წერეთელი